ინფორმაცია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 28 დეკემბრის საკრებულოს N55 დადგენილებით. 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 3 ცვლილება და საბოლოოდ დაზუსტდა 125 908,8 ათასი ლარით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 23 წლის ბიუჯეტის 9 თვის ფაქტობრივმა შემოსავალმა (ნაშთის/ფინანსური აქტივის გამოკლებით) 74 005,7 ათასი ლარი შეადგინა.

ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები წარმოდგენილია ბალანსის სახით:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის ბალანსი

დასახელება	2023 წელი		
	დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	93 713.1	69 103.7	69 867.6
გადასახადები	65 440.8	49 995.0	51 097.6
გრანტები	13 599.0	8 925.0	8 961.2
სხვა შემოსავლები	14 673.3	10 183.7	9 808.8
ხარჯები	89 222.4	65 653.0	65 090.0
შრომის ანაზღაურება	39 798.5	28 680.0	28 611.6
საქონელი და მომსახურება	21 104.0	16 400.0	16 193.1
პროცენტი	2 551.6	2 788.0	2 696.0
სუბსიდიები	8 420.5	6 060.0	6 045.8
გრანტები	185.0	165.0	165.0
სოციალური უზრუნველყოფა	6 967.0	4 760.0	4 732.2
სხვა ხარჯები	10 195.8	6 800.0	6 646.3
საოპერაციო სალდო	4 490.7	3 450.7	4 777.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	23 907.9	11 500.0	12 629.7
ზრდა	32 907.9	17 000.0	16 767.8
კლება	9 000.0	5 500.0	4 138.1
მთლიანი სალდო	-19 417.2	-8 049.3	-7 852.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-23 015.6	-11 739.3	-11 533.3
ზრდა	0.0	0.0	0.0

აქციები და სხვა კაპიტალი			
სხვა დებიტორული დავალიანებები			
კლება	23 015.6	11 739.3	11 533.3
აქციები და სხვა კაპიტალი	23015.6	117 39.3	11533.3
ვალდებულებების ცვლილება	-3 598.4	-3 690.0	-3 681.2
ზრდა			
კლება	3 598.4	3 690.0	3 681.2
საშინაო	3 598.4	3 690.0	3 681.2
ბალანსი	0.0	0.0	0.0

ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 9 თვის ფაქტიური შესრულება შეადგენს 85 539,0 ათას ლარს, მათ შორის: შემოსავლების კუთხით ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 69 867,6 ათასი ლარი შეადგინა; არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 4 138,1 ათასი ლარი; ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 11 533,3 ათას ლარს.

სახეების მიხედვით **შემოსავლები** შემდეგნაირად განაწილდა:

დასახელება	2023 წლის 9 თვის გეგმა	ფაქტობრივი შემოსავლები 9 თვეში	%
გადასახადები	49 995,0	51 097,6	102,2
გრანტები	8 925,0	8 961,2	100
სხვა შემოსავლები	10 183,7	9 808,8	98,0
სულ	69 103,7	69 867,6	101,1

გადასახადები

ქალაქ ქუთაისის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახადებიდან 9 თვეში შემოვიდა 51 097,6 ათასი ლარი, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 40 687,4 ათას ლარს, გეგმა 40 500,0 ათასი ლარი შესრულდა 100,5%-ით.

გრანტები

2023 წლის 9 თვეში გრანტების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 8 961,2 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი - 225,0 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 8 230,3 ათასი ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტებიდან ჩაირიცხა 505,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა შესრულებამ 9 თვეში 9 808,8 ათასი ლარი შეადგინა.

შემოს. კლას. კოდი	**დასახელება**	2023 წელი		
		9 თვის გეგმა	**9 თვის ფაქტი**	**%**
1.4	**სხვა შემოსავლები**	**10 183.7**	**9 808.8**	96.3
1.4.1	**შემოსავლები საკუთრებიდან**	**860.0**	**681.2**	79.2
1.4.1.1	პროცენტები	**650.0**	**400.2**	61.6
1.4.1.5	რენტა	**210.0**	**281.0**	133.8
1.4.1.5.1	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	**150.0**	**237.5**	158.3
1.4.1.5.4	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	**60.0**	**43.5**	72.5
1.4.2	**საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია**	**4 253.7**	**4 248.6**	99.9
1.4.2.2	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**4 003.7**	**4 066.5**	101.6
1.4.2.2.12	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	**3.7**	**8.2**	221.6
1.4.2.2.13	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	**800.0**	**807.3**	100.9
1.4.2.2.14	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	**2 800.0**	**2 591.5**	92.6
1.4.2.2.15	კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი	**0.0**		
1.4.2.2.3	სანებართვო მოსაკრებლები	**400.0**	**656.9**	164.2
1.4.2.2.9	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	**0.0**		
1.4.2.2.99	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	**0.0**	**2.6**	
1.4.2.3	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**250.0**	**182.1**	72.8
1.4.3	**სანქციები (ჯარიმები და საურავები)**	**4 000.0**	**4 051.3**	101.3
1.4.3.1	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	**3 800.0**	**3 836.9**	101.0

1.4.3.4	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	**170.0**	**200.9**	118.2
1.4.3.9	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	**30.0**	**13.5**	45.0
1.4.4	**ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული**	**1 070.0**	**827.7**	77.4
1.4.4.1.2.4	**შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან**	**140.0**	**140.0**	100.0
1.4.4.1.2.7	**შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე**	**330.0**	**342.0**	104%
1.4.4.1.2.99	**სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები**	**600.0**	**345.7**	**57.6**
1.4.4.1.2.99.4	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების და რღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	**250.0**	**177.9**	71.2
1.4.4.1.2.99.9	წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები		**4.3**	
1.4.4.1.2.99.99	სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**350.0**	**163.5**	46.7

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში მობილიზებულია 237,5 ათასი ლარი, გეგმა (150,0 ათასი ლარი) შესრულდა 158,3%-ით.

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, ფაქტობრივად მიღებულია 43,5 ათასი ლარი, გეგმა (60,0 ათასი ლარი) შესრულდა 72,5%-ით.

სანებართვო მოსაკრებლებიდან 9 თვეში ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 656,9 ათასი ლარი, გეგმა (400,0 ათასი ლარი) შესრულდა 164,2%-ით.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ 9 თვეში შეადგინა 807,3 ათასი ლარი, რაც გეგმის, 800 ათასი ლარის, 100,9%-ია.

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა განისაზღვრა 2 800,0 ათასი ლარით, ფაქტობრივი შესრულება – 2 591,5 ათასი ლარი (92,6%).

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება ბიუჯეტში შემოსულია 182,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (250,0 ათასი ლარი) 72,8%-ია.

ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4 051,3 ათასი ლარი, გეგმა (4 000,0 ათასი ლარი) შესრულდა 101,3%-ით.

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შესრულებაა - 827,7 ათასი ლარი, გეგმა შეადგენს 1 070,0 ათას ლარს (77,4%).

არაფინანსური აქტივების კლება

2023 წლის 9 თვის მანძილზე არაფინანსური აქტივების კლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 4 138,1 ათასი ლარი.

დასახელება	9 თვის გეგმა	9 თვის შესრულება	%
არაფინანსური აქტივები	**5 500,0**	**4 138,1**	**75,2**
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	2 000,0	1715,1	85,8
შემოსულობა არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან	3 500,0	2423,0	69,2

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 11 533,3 ათას ლარს.

ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის 9 თვეში, ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 85 539,0 ათასი ლარი.

23 წლის თვის გადასახდელების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2023 წელი			
	დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის საკასო ხარჯი	%
გადასახდელები	125 908.8	86 343.0	85 539.0	99.1
ხარჯები	89 374.9	65 653.0	65 090.0	99.1
შრომის ანაზღაურება	39 798.5	28 680.0	28611.6	99.8
საქონელი და მომსახურება	21 137.0	16 400.0	16193.1	98.7
პროცენტი	2 743.8	2 788.0	2696.0	96.7
სუბსიდიები	8 020.5	6 060.0	6045.8	99.8
გრანტები	185.0	165.0	165.0	100.0

სოციალური უზრუნველყოფა	6 967.0	4 760.0	4732.2	99.4
სხვა ხარჯები	10 523.1	6800.0	6646.3	97.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	32 665.7	17 000.0	16767.8	98.6
ვალდებულებების კლება	3 868.2	3 690.0	3681.2	99.8

ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება:

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2023 წელი		
		9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	%
20	**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ხარჯები**	**86 343.0**	**85 539.0**	**99.1**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**16 738.0**	**16 647.1**	**99.5**
01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა**	**8 152.0**	**8 077.2**	**99.1**
01 01 01	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 470.0	**1 451.8**	**98.8**
01 01 02	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	6 400.0	**6 347.9**	**99.2**
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	225.0	**221.4**	**98.4**
01 01 04	საჯარო მოსამსახურეთა სწავლება - გადამზადება	57.0	**56.1**	**98.4**
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	**8 586.0**	**8 569.9**	**99.8**
01 02 01	სარეზერვო ფონდი	750.0	747.8	**99.7**
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	205.0	204.7	**99.9**
01 02 03	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (მ.გ.ფ.)	6 378.0	6 377.2	**100.0**
01 02 04	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	115.0	114.1	**99.2**
01 02 07	საგრანტე პროგრამა escapeland - ტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნებში	68.0	67.5	**99.3**
01 02 10	ა(ა)იპ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია	740.0	732.6	**99.0**
01 02 11	საგრანტე პროგრამა - მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG)	115.0	112.2	**97.6**
01 02 12	საგრანტე პროგრამა -ქუთაისი-ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის	215.0	213.8	**99.4**

02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**22 645.0**	**22 307.7**	**98.5**
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**8 050.0**	**7 988.8**	**99.2**
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	6 450.0	6 397.6	**99.2**
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	1 055.0	1 049.0	**99.4**
02 01 03	სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა	465.0	463.1	**99.6**
02 01 05	ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების შეძენა-ექსპლოატაცია	80.0	79.1	**98.9**
02 03	**გარე განათება**	**2 515.0**	**2 506.6**	**99.7**
02 03 01	გარეგანათების ქსელის ექსპლუატაცია	2 515.0	2 506.6	**99.7**
02 04	**მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია**	**412.0**	**407.6**	**98.9**
02 04 02	ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა	290.0	286.0	**98.6**
02 04 03	ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა - რეკონსტრუქცია	122.0	121.6	**99.7**
02 05	**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**	**1 306.0**	**1 289.5**	**98.7**
02 05 02	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია	98.0	96.4	**98.4**
02 05 03	მრავალბინიანი საცოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა	5.0	4.7	**94.0**
02 05 04	მრავალბინიანი საცოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია	38.0	36.3	**95.5**
02 05 05	მრავალბინიანი საცოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია	70.0	68.3	**97.6**
02 05 07	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა- გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება	755.0	752.7	**99.7**
02 05 08	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოტუმბვის სამუშაოები	25.0	24.1	**96.4**
02 05 09	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით)	315.0	307.0	**97.5**
02 06	**ქალაქის კეთილმოწყობა**	**4 257.0**	**4 038.8**	**94.9**
02 06 01	ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	1 150.0	1 015.6	**88.3**
02 06 02	ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება	395.0	393.5	**99.6**

02 06 03	მემორიალური დაფებისა და პანთეონების მოვლა, პატრონობა	7.0	3.2	**45.7**
02 06 04	მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	2 150.0	2 089.7	**97.2**
02 06 05	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	25.0	18.9	**75.6**
02 06 07	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია- რეაბილიტაცია	530.0	517.9	**97.7**
02 07	**მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება**	**3 560.0**	**3 545.1**	**99.6**
02 09	**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება**	**1 815.0**	**1 809.2**	**99.7**
02 10	**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა**	**265.0**	**259.1**	**97.8**
02 11	**საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება**	**465.0**	**463.0**	**99.6**
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**7 550.0**	**7 478.9**	**99.1**
03 01	**ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	4 850.0	4 835.0	**99.7**
03 02	**მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა, განვითარება**	**2 700.0**	**2 643.9**	**97.9**
03 02 01	ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 700.0	**2 643.9**	**97.9**
04 00	**განათლება**	**14 380.0**	**14 240.8**	**99.0**
04 01	**სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება**	13 590.0	13 562.4	**99.8**
04 02	**საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება**	650.0	543.5	**83.6**
04 03	**განათლების ღონისძიებები**	140.0	134.9	**96.4**
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**18 482.0**	**18 363.3**	**99.4**
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**10 607.0**	**10 528.2**	**99.3**
05 01 01	სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	4 500.0	4 488.0	**99.7**
05 01 02	კალათბურთის განვითარება	925.0	919.1	**99.4**
05 01 03	ხელბურთის განვითარება	193.0	192.7	**99.8**
05 01 04	ქალთა ფეხბურთისა და ფუტსალის განვითარება	109.0	108.2	**99.3**
05 01 05	რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა	475.0	472.3	**99.4**
05 01 06	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1 355.0	1 352.5	**99.8**
05 01 07	სხვადასხვა სახეობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	3 050.0	2 995.4	**98.2**
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**7 675.0**	**7 644.4**	**99.6**

05 02 01	კულტურულ სახელოვნებლო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	4 750.0	4 728.6	**99.5**
05 02 02	ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელშეწყობა	850.0	846.1	**99.5**
05 02 03	ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა	1 020.0	1 016.8	**99.7**
05 02 04	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	1 055.0	1 052.9	**99.8**
05 03	**ახალგაზრდობის მხარდაჭერა**	200.0	190.7	**95.4**
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**5 479.0**	**5 437.1**	**99.2**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**1 599.0**	**1 583.2**	**99.0**
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	257.0	254.5	**99.0**
06 01 02	მედიკამენტებით უზრუნველყოფა	180.0	179.7	**99.8**
06 01 03	სამედიცინო დახმარება	1 050.0	1 040.5	**99.1**
06 01 04	ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა	22.0	19.7	**89.5**
06 01 05	ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება	90.0	88.8	**98.7**
06 02	**სოციალური უზრუნველყოფა**	**3 880.0**	**3 853.9**	**99.3**
06 02 01	სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა	33.0	32.1	**97.3**
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	742.0	740.3	**99.8**
06 02 03	სარიტუალო დახმარება	5.0	4.5	**90.0**
06 02 04	სოციალური ღონისძიებები	700.0	697.5	**99.6**
06 02 05	სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა	100.0	98.6	**98.6**
06 02 06	განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა	106.0	104.9	**99.0**
06 02 07	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	103.0	101.8	**98.8**
06 02 09	უფასო კვება	710.0	707.6	**99.7**
06 02 10	კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	10.0	9.5	**95.0**
06 02 11	ავთვისებიანი სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა	44.0	43.2	**98.2**
06 02 12	შინმოვლა	56.0	55.1	**98.4**
06 02 14	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	925.0	922.9	**99.8**
06 02 16	შშმ პირთა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა	27.0	26.1	**96.7**
06 02 17	მარტოხელა მშობელთა დახმარება	26.0	25.2	**96.9**
06 02 18	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	2.0	1.8	**90.0**
06 02 19	საქართველოს "sos" ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის - დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა	18.0	17.2	**95.6**

06 02 21	ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით დახმარება	63.0	62.4	**99.0**
06 02 22	გადაუდებელი რეაგირების პროგრამა	95.0	92.0	**96.8**
06 02 23	მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია	10.0	10.0	**100.0**
06 02 25	გენდერული ნიშნით და ოჯახსი ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფა	6.0	5.0	**83.3**
06 02 26	სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა	2.0	1.5	**75.0**
06 02 30	სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება	35.0	33.3	**95.1**
06 02 33	ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება	62.0	61.4	**99.0**
07 00	**ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**	**1 069.0**	**1 064.1**	**99.5**
07 01	**თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა**	84.0	83.7	**99.6**
07 04	**ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**	985.0	980.4	**99.5**

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების 9 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 16 647,1 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 16 738,0 ათასი ლარი, დაფინანსება განხორციელდა 99,5%-ით.

სარეზერვო ფონდიდან, 9 თვეში სარეზერვო ფონდიდან სულ დახარჯულია 747,8 ათასი ლარი. მოქალაქეთა მატერიალური დახმარებისათვის დახარჯულია 690,9 ათასი ლარი. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N40გ -ში არსებული სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების ელ.ენერგიის დავალიანების თანადაფინანსებისათვის გადაირიცხა 4,4 ათასი ლარი; დედის დღესთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი (9 და მეტი შვილი) დედების მატერიალური დახმარების მიზნით გადაირიცხა 3,0 ათასი ლარი; ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2004 წლის აგვისტოს ქართულ - ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების მატერიალური დახმარების მიზნით გადაირიცხა 1,8 ათასი ლარი. ქუთაისის საპატიო მოქალაქეებს, მათ მიერ ქუთაისის კულტურის, სპორტისა და განათლების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის გადაერიცხათ 47,7 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარების 9 თვის საკასო შესრულება შეადგენს 22 307,7 ათას ლარს. გეგმა 9 თვეში განისაზღვრა 22 645,0 ათასი ლარით (98,5%).

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 7 988,8 ათასი ლარით, გეგმა 8 080,0 ათასი ლარი შესრულდა 99,2%-ით.

გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულებულია: ქალაქის მასშტაბით საავტომობილო და ქვეითთა მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განახლება არსებული შუქნიშნების ნაცვლად ადაპტირებული შუქნიშნების მოწყობა ჯიბლაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ჩეჩელაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ვაჟა–ფშაველას ქუჩის მეოთხე შესახვევის დარჩენილი ნაწილის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია შოთა რუსთაველის გამზირზე საავტომობილო მოძრაობის ე წ კუნძლებისა“ და გამყოფი ზოლის“ რეაბილიტაცია ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ფანჯიკიძის ქუჩის ტროტუარების რეაბილიტაცია გუგუნავას ქუჩის № თან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ავტომშენებლის გამზირზე ტროტუარების რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ზ გამსახურდიას გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ი ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარების რეაბილიტაცია და მოაჯირების მოწყობა

გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ასფალტის ბეტონის საფარის გრანიტისა და დეკორატიული ფილების საფარის შეკეთების სამუშაოები.

სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბუნებრივი სასულეების ექსპლოატაცია, სადაც პერიოდულად ხდება ბუნებრივი სასულეების ყელის გაწმენდა და რეაბილიტაცია. დასრულდა ტ. ტაბიძის ქუჩის სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია, თამარ მეფის ქუჩაზე, აკ. წერეთლის უნივერსიტეტის მიმდებარედ, სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია, წერეთლის ქუჩის №246–ის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია, ფურცელაძის ქუჩის მეორე შესახვევის სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია ლუკა ასათიანის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია, აკ. წერეთლის ქუჩის პირველი ჩიხის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია, დეპოს ქუჩის სანიაღვრე ქსელის ფრაგმენტის რეაბილიტაცია, გრიშაშვილის ქუჩაზე დაზიანებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, თბილისის ქუჩის N3-ს და N12-ს შორის სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია.

ვიდეო - სამეთვალყურეო კამერების შეძენა-ექსპლოატაციის ქვეპროგრამიდან 9 თვეში დახარჯულია 79,1 ათასი ლარი (98,9%).

გარე განათების პროგრამის საკასო შესრულებამ 2 506,6 ათასი ლარი შეადგინა (99,7%).

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციისა და კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში დამონტაჟდა და შეიცვალა 8 ცალი ერთფაზიანი მრიცხველი, 10 ცალი ავტომატური ამომრთველი 60ა, 80 ცალი ავტომატური ამომრთველი 100ა, 47 ცალი კონტაქტორი, შეიცვალა 22 ცალი ფასადის მინათების ლედ სანათი 150ვ, 110 ცალი დროსელი 150ვ, შეიცვალა 42 ცალი

მეტალო ჰალოგენი 150ვ, შეიცვალა 768 ცალი ლედ სანათი 90 ვტ, 5 ცალი ფასადის მინათების ლედ სანათი 10ვტ, გამოიცვალა 24 ცალი ლედ ნათურა 10ვტ, 24 ცალი ლედ ნათურა 11ვტ, 58 ცალი ლედ ნათურა 20ვტ, დამონტაჟდა 18 ცალი ფოტორელე 10ა, გაიხარჯა 204 ცალი საიზოლიო ლენტი, 600 მ გოფრირებული მილი, დენის გაყვანილობისთვის დაიხარჯა 2200მ სპილენძის სადენი, 20 ცალი იმპულსური გამშვები მექანიზმი, გამოიცვალა 113 ცალი ლედ სანათი 120 ვტ, 36 ალიც ლედ ნათურა ცივი ნათებით 40 ვტ, 35 ცალი ლედ ნათურა თბილი ნათებით, 10 ც დრაივერი 20 ვტ, 228 ცალი დრაივერი 50 ვტ. დემონტაჟი გაუკეთდა საახალწლო განათებებს. შეიცვალა 21 ცალი ჭერის ლედ სანათი 18 ვტიანი, 12 ცალი ჭერის ლედ სანათი 12 ვტიანი, 7 ცალი ფასადის მინათების ლედ სანათი ლურჯი 20 ვტ-იანი. 79 ცალი ლედ ნათურა თეთრი ნათებით 20 ვტ, საქართველოს დროშა 5 ცალი. ქალაქის ტერიტორიაზე გაივლო ორ კონტურიანი თეთრი ხაზი 3315 მეტრი, დაიხაზა ზებრა გადასასვლელები, ავტობუსია გაჩერებები BUS წარწერით, ავტომობილების პარკირების ადგილები. სულ საგზაო მონიშვნისთვის დაიხარჯა 4185 კგ თეთრი საღებავი, 237 კგ. შავი საღებავი, 46.5 კგ ვერცხლისფერი საღებავი, 350 კგ ყვითელი საღებავი, 770 კგ წითელი საღებავი. დამონტაჟდა 17 ცალი სექციური ვიდეო კონტროლის ნიშანი, გარეგანათების მოწყობისთვის დაისო 18 ცალი ელექტროგანათების ახალი ბოძი. საგზაო ნიშნებისათვის 12 ბოძი, ვიდეო კონტროლის ნიშანისათვის 2 ბოძი. დამონტაჟდა საგზაო ნიშნები: „ავტობუსის გაჩერება“ - 15ცალი, „დგომა-გაჩერება აკრძალულია“ – 7 ცალი, “სატვირთოს მოძრაობა აკრძალულია“ – 8 ცალი, „50 კმ/სთ სიჩქარის შეზღუდვა“ – 8 ცალი, “პარკინგის ნიშანი“ – 2 ცალი, დამონტაჟდა ორნაწილიანი ახალი შუქნიშანი 1 ცალი. მოძრაობის შემძღუდველი ბუგორი - 12 ცალი. გამაგრდა ხიდის მოაჯირები რაზეც დაიხარჯა 200 მ მილკვადრატი, შერემონტდა საბავშვო ატრაქციონები, სიჩქარის შემზრუდავი ბუგორები.

მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია დაფინანსდა 407,6 ათასი ლარით, გეგმა - 412,0 ათასი ლარი შესრულდა 98,9%-ით.

საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა: რუას ქუჩის №16ა–სთან, ნეკრასოვის ქუჩის №6–თან, ქეთევან წამებულის ქუჩის მეორე შესახვევში საყრდენი კედლისა და მოაჯირის მოწყობა; ჭაბუკიანის ქუჩის №3–ში ფერდის დამაგრების სამუშაოები; ისიანის ქუჩაზე №23 საყრდენი კედლის მოწყობა; კიკვიძის ქუჩის №8-სთან საყრდენი კედლის მოწყობა; აკ.წერეთლის ქუჩის მე–3 შესახვევში დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია; ბარნოვის ქუჩის №43-თან საყრდენი კედლის მოწყობა.

ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა რეკონსტრუქციის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შენობის მერიის სველი წერტილებისა და ნოდარ დუმბაძის ქუჩის № –ში მდებარე მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის შენობის დერეფნებისა და მიმღები სივრცის რეაბილიტაცია.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის საკასო შესრულება შეადგენს 1 289,5 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 1 306,0 ათასი ლარით(98,7%).

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა ავტომშენებლის 1-ლი შესახვევის N8-ში ფანჩატურის მოწყობა.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა სარაჯიშვილის N51-ში (კულტურული მემკვიდრეობა) პარაპეტის რეაბილიტაცია. სამუშაოები მიმდინარეობს ავტომშენებლის N10, ავტომშენებლის 1-შეს. N2, ნიკეას ქ. N19/96, ნიკეას მე-2 შეს. N2, სოლომონ 1-ის N4, ახალგაზრდობის გამზ. მე-5 შეს. N15ა, ი. ჭავჭავაძის N34, ი. ჭავაჭავაძის N25, აღმაშენებლის N41, ხუნდაძის N54, რუსთაველის გამზ. N85, ლესელიძის N3.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიაციის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა თაბუკაშვილის N199, თაბუკაშვილის N217 (მე-2 სადარბაზო), სულხან-საბას N75, ხარებავას N22 და ხარებავას N9ბ-ში კანალიზაციის რეაბილიტაცია. მიმდინარეობას ი. ჭავჭავაძის N28; ი. ჭავჭავაძის N24 (ქსელის რეაბილიტაცია); ი. ჭავჭავაძის N24 (ჭების რეაბილიტაცია); ი. ჭავჭავაძის N26; სულხან-საბას გამზ. N49; წერეთლის N98; ლეონიძის N1; ბალანჩივაძის N2/6; ნიკეას მე-2 შესახვევის N2; თაბუკაშვილის N30-ში კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შემენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება დასრულდა 17350 კვ.მ. ჰიდროსაიზოლაციო მასალის, 4000 კვ.მ გოფრირებული და 3000 კვ.მ ფურცლოვანი თუნუქის მოწოდება. დასრულდა მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება შემდეგ მისამართებზე: კ. მესხის N4; ცხინვალის მე-3 შესახვევის N3; მ. კოსტავას ქუჩა N55; ბუკიას ქუჩა N7ა; ზ. ჭავჭავაძის ქუჩა N2; ჯავახიშვილის 1-ლი შესახვევის N21; თაბუკაშვილის ქუჩა N119; ხუნდაძის N51ა; წერეთლის N276ა; ნიკეას ქუჩა N74; სულხან საბას გამზირი N65; ი. ჭავჭავაძის N56; მახვილაძის ქუჩა N15; ალ. ყაბეგის N36 და აღმაშენებლის N40/28; ცახელის N7ა; ი. ჭავჭავაძის N64; კ. გამსახურდიას N58; მარჯანიშვილის N24; არაყიშვილის ქუჩა N3; ი. ბერაძის N3; დადიანის ქუჩა N55 და სულხან-საბას გამზირი N65. ხარებავას N9; ავტომშენებლის N17; ი. ჭავჭავაძის N57-59; ბერაძის N7; ბერაძის N2; ბერაძის N4; ლომონოსოვის ქუჩა N2/3; თამარ მეფის ქუჩა N95; ი. ჭავჭავაძის N11.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემის ქვეპროგრამიდან განხორციელდა 40 ერთეული სარდაფში დამდგარი წყლისა ამოსატუმბი მოწყობილობის შესყიდვა.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით) ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა ბუხაიძის ქუჩის N3

ბინის მე-4 სადარბაზოს და მუსხელიშვილის ქუჩის N3 ბინის მე-4 სადარბაზოს რეაბილიტაცია. დასრულდა ზ. გამსახურდიას ქ. N15-ში 1, 2, 3 სადარბაზოების რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ლ. ასათიანის N119/2 (1,2,3), რ. თაბუკაშვილის ქუჩა N183 (2,3), სულხან-საბას გამზ. N21 (1) და დუმბაძის ქ.N2/3 (2), ჯავახიშვილის N8 (2), ხარებავას ქ. N11 (1,2), ხარებავას ქ. N5ბ (1), ახალგაზრდობის I შეს. N14 (1,2,3), აღმაშენებლის N1 (4), ბერაძის N1 (1) და ავალიანის N21 (1) სადარბაზოების რეაბილიტაცია.

ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამა დაფინანსდა 94,9%-ით, გეგმა შეადგენს 4 257,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 4 038,8 ათას ლარს.

ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 100 საფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) მოწყობა.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელების ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა აღმაშენებლის N125-ში ფანჩატურის მოწყობა, ისტორიულ ძეგლებზე საინფორმაციო დაფების დამზადების, მათზე QR კოდების დატანისა და განსაზღვრულ ლოკაციებზე მოწყობა, შესყიდული იქნა ხელოვნული ბალახის საფარი და კაუჩუკის ფილები, დასრულდა ჩოგბურთის კორტების ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია.

მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ ქუთაისში, 5 მისამართზე, განხორციელდა მემორიალური დაფების განთავსება.

მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა: ახალგაზრდობის გამზირზე ფასადების რეაბილიტაცია; რუსთაველის გამზირზე ფასადების რეაბილიტაცია; ავტომშენებლის გამზირზე საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცი; ა.ხორავას ქუჩის №4–ში, №6–სა და №12–ში მდებარე საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია; დუმბაძის ქუჩის N2 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია.

სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფის ქვეპროგრამიდან დაიხარჯა 18,9 ათასი ლარი, საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით, ფოიერვერკის შეძენისათვის.

შადრევან-აუზების ექსპლოატაცია - რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 16 ერთეული შადრევან-აუზისა და წყლის ნიჟარების ექსპლოატაცია (წყლისა და ელექტრო ენერგიის ხარჯის ჩათვლით).

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფრაგლებში დასრულდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების აღჭურვა ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით. განხორციელდა მგზავრთა დაზიანებული მოსაცდელი 6 ობიექტის რეაბილიტაცია.

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს გაფრინდაშვილის ქუჩის N10-სა და გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხის N3-ს შორის საყრდენი კედლის მოწყობა. საქართველოს მთავრობის
წლის № განკარგულების ფარგლებში სახურავის შესაკეთებელი მასალა გადაეცა
ობიექტს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას და კერძო პირს დასრულებულია
ერთეული დაზიანებული სახურავის შეკეთებითი სამუშაოები.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა დაფინანსდა 259,1 ათასი ლარით. გეგმა შეადგენს 265,0 ათას ლარს. დაფინანსება განხორციელდა 97,8%-ით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისათვის დაიხარჯა 463,0 ათასი ლარი. გეგმა (465,0 ათასი ლარი) შესრულდა 99,6%-ით.

დასუფთავება და გარემოს დაცვის გეგმა 7 550,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 7 478,9 ათასი ლარით (99,1%).

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 39 917,2 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა ქალაქის ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა. მოირწყა და ჩაირეცხა 1 625 000 მ2 ქალაქის ქუჩა, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში რამოდენიმეჯერ თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 17,326 ტონა ტექნიკური მარილი და 43,32 მ3 ქვიშა. დაიწნეხა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 212 შეკვრა მუყაო და 7 შეკვრა პლასმასი. აქედან 120 შეკვრა მუყაო გაიყიდა და ორგანიზაციამ დამატებით შემოსავლების სახით მიიღო 9446,1 ლარი. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის კომპოსტირების სამსახურმა 2023 წლისათვის შეძლო ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვითა და სხვლა-ფორმირების შედეგედ მიღებული მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად 119,2 ტონა საკომპოსტე მასალა გადაამუშავა. გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 420 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 155 ძირი ხე. დაიმორა 170.50 მ3 საშეშე მერქანი, რითაც დაკმაყოფილდა 114 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 512 დაგეგმილი სამუშაო. უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 1238 ძაღლი, 22 ლეკვი და 48 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაჩუქდა 90 ძაღლი, 18 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობებლებს დაუბრუნდათ 48 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ოპერაცია ჩაუტარდა 1122 ძაღლს, აიცრა 1170 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 1094

ძაღლი. ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ შეიწამლა 35550 გრძ/მ მიწის ფართობი. მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 828494 მ2 ტერიტორია. დეზინსექცირდა, სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა და ლიკვიდირებულ იქნა 97 კრაზანის ბუდე და 113730 მ2 ფართობი, გაიწმინდა - 25 259 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 1308 ჭას და ცხაურს. ბალახისაგან გაითიბა - 846 830 მ2 ფართობი, დამონტაჟდა - 32 ცალი სანიაღვრე ჭა და ცხაური.

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულებულია: "მუხნარის" ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის მოწყობა; შოთა რუსთაველის სკვერის, მდინარე ოღასკურას, ანჯაფარიძის ქუჩაზე საბავშვო ატრაქციონის და ავტომშენებლის ქუჩაზე 32-ე საჯარო სკოლის წინ ლითონის შემოღობვის მოწყობა; დუმბაძის ქუჩისა და აღმაშენებლის გამზირის კვეთაზე ე.წ. ნინოშვილის სკვერის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ავტოქარხნის სკვერის რეაბილიტაცია; ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის გამწვანება, მოვლა-პატრონობა და სკვერების კეთილმოწყობა.

განათლების სფეროდან სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხარჯები დაფინანსდა 13 562,4 ათასი ლარით, გეგმა შეადგენს 13 590,0 ათას ლარს (99,8%). ა(ა)იპ „ბაგა-ბაღების გაერთიანებაში“ მიმდინარე წელს სულ ირიცხებოდა 8102 აღსაზრდელი, აქედან სასკოლო მზაობის ჯგუფი გაიარა 2163 აღსაზრდელმა. ასიგნების ფარგლებში ფილიალებისათვის შეძენილ იქნა საკვები პროდუქტები, ელექტრო-სამონტაჟო მოწყობილობებისათვის საჭირო სხვადასხვა დასახელების ნივთები და სამშენებლო მასალები. მეთოდური დარგის სამსახურის კოორდინატორის მიერ სამუშაო შეხვედრები გაიმართა მეთოდისტებთან, განხილული იქნა საკითხი ბაგა-ბაღებში საკონსულტაციო საბჭოების ეფექტური მუშაობის შესახებ. იანვრის თვეში განათლების ეროვნული სისტემის მიერ ჩატარდა ტრენინგი საკონსულტაციო საბჭოების თავმჯდომარეებთან, თემაზე: „ძალადობრივი და საზიანო შინაარსის კომპიუტერული თამაშები, საფრთხეების შემცველი მულტიდისციპლინარული ფილმები ბავშვებისათვის“. 2023 წლის 2 თებერვალს შედგა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა მეთოდისტებთან, რომელიც ეხებოდა მონიტორინგის ინსტრუმენტების გზამკვლევს ბავშვებზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლებისათვის. აგრეთვე, მოეწოდათ ინფორმაცია-მითითება ბაღების ავტორიზაციის და პირველ ეტაპზე ბაღის მმართველების, მეთოდისტების, ბავშვის პორტფოლიოების, აღმზრდელის პორტფოლიოების წარმოებაზე, მონიტორინგისა და შეფასების, რეფლექსიის და დაკვირვების ჩანაწერებზე. თებერვლის თვეში ყველა ბაღში ჩატარდა აქტივობები „წიგნის კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით“. აქტივობებში ჩართული იყვნენ მშობლები. 2023 წლის 10 და 17 თებერვალს გაიმართა ტრენინგი მეთოდისტებთან (ორ ჯგუფად) თემაზე: “ბავშვთა ძალადობის ამოცნობა და პრევენცია, რეფერირების პროცედურები”. 2023 წლის 27 თებერვალს შედგა ონლაინ

შეხვედრა სსიპ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან კონკურსის "მწვანე ჯილდო" და 2023 წელში დაგეგმილ სხვა საგანმანათლებლო კონკურსების შესახებ. კონკურსში მონაწილეობას იღებს ორი ბაღი. 2023 წლის 1 მარტს განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან შედგა ონლაინ შეხვედრა კონფერენციაზე ავტორიზაციის პროცესებთან დაკავშირებით. მარტის თვეში აღმზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს UNICEF-ისა და ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სატრენინგო ციკლში 60 საათი, თემაზე: "ადრეული ინკლუზიური განათლება". ყველა ბაღში გრძელდება აქტივობები ბავშვთა უფლებების დაცვაზე. 2023 წლის 16 მარტს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ფსიქოლოგებთან. ივნისის თვეში დასრულდა პროგრამა „ჰარტის" დანერგვა ბაღებში, მონაწილე და გადამზადებულ ფასილიტატორებს ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვებმა" პროექტის დანერგვისათვის გადასცა საჭირო მასალა ყუთების სახით. 14 ივნისს ხარისხის სახლში ჩატარდა შეხვედრა ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გაეროს წარმომადგენლებთან, შეხვედრას ეწრებოდნენ მშობლები. განხილული იქნა თემა იმუნიზაციის აქტუალურობასთან დაკავშირებით. ინფორმაცია მიეწოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თვითმმართველ ქალაქებსა და სათემო მუნიციპალიტეტებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ელექტრონულ რეგისტრაციასთან დაკავშირებით. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და სამედიცინო სამსახურის ზედამხედველობის კოორდინატორისა და კვების უვნებლობის კოორდინატორის მიერ ბაგა-ბაღებში სისტემატიურად ხორციელდებოდა მონიტორინგი. მაისის ბოლოსა და ივნისის თვეში ბაღებში ჩატარდა გამოსაშვები ღონისძიებები. 25 სექტემბერს გაიმართა ონლაინ ჩართვა განათლების სამინისტროსთან, სადაც განხილულ იქნა ჩეხეთის რესპუბლიკის კვლევის პროექტი - „ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლების შესახებ".

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში ფარგლებში დასრულებულია მეოთხე სამუსიკო სკოლის გათბობის სამუშაოები და შიდა რემონტი. მიმდინარეობს ცენტრალური სამუსიკო სკოლის და ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცენტრის რეაბილიტაცია.

განათლების ღონისძიებები დაფინანსდა 134,9 ათასი ლარით. დამტკიცდა დებულება მერის სტიპენდიანტების შესახებ, რომლითაც ისარგებლებს 6 სტუდენტი. 2023 წლის მარტის თვეში ქვეპუნქტიდან „ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილეობის დაფინანსება" ისარგებლა თხუთმეტმა მოსწავლემ. დაფინანსდა ქალაქ ქუთაისის N33, N30 საჯარო სკოლა და კერძო სკოლა „პროგრესი" ქალაქ თბილისში სამეწარმეო ფესტივალზე გასამგზავრებლად. დამტკიცდა დებულება მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადის შესახებ, რომელიც გაეგზავნა ქუთაისის საგანმანათლებლო

რესურსცენტრს და მონაწილეობას მიიღებს 30 საჯარო სკოლა. 2023 წლის მასის თვეში მოეწყო ინტელექტუალური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა ქუთაისის 26 სკოლის გუნდი. ინტელექტუალური კონკურსი ჩატარდა როგორც ბრეინ-რინგის, ასევე ჯეპარდის მიმართულებით. 23 ივნისს მოეწყო „მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა“ ჟანრებში ქართული ესტრადა, ხალხური სიმღერა, ზეპირსიტყვიერება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ ოლიმპიადაზე მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისის 25 საჯარო სკოლის ასამდე მოსწავლემ, გამარჯვებულებს გადაეცათ ოლიმპიადის სპეციალური პრიზები და ფულადი ჯილდო. 2023 წლის 1 აგვისტოდან 17 აგვისტომდე მოეწყო საზაფხულო ბანაკი დაბა ბაკურიანში საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების წარმატებულ მოსწავლეთათვის. საგანმანათლებლო ბანაკში მონაწილეობა მიიღო 120-მა მოსწავლემ. 2023 წლის ივნისის თვეში მოეწყო მერვე საერთაშორისო კონფერენცია „ენა და კულტურა“ თანადაფინანსებით გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში. 21 ივნისს „კინგსი საქართველოსა“ და „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ორგანიზებით, იმერეთის მასშტაბით მოეწყო ინტელექტის ოლიმპიადა მოსწავლეებს შორის. ოლიმპიადის გამარჯვებულ მოსწავლეებს ჩაერიცხათ ფულადი ჯილდო.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი დაფინანსდა 18 363,3 ათასი ლარით. გეგმა (18 482,0 ათასი ლარი) შესრულდა 99,4%-ით.

სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 10 607,0 ათასი ლარი შესრულდა 99,3%-ით, გაწეული ხარჯი შეადგენს 10 528,2 ათას ლარს.

სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდა დაფიანანსება 4 488,0 ათასი ლარის ოდენობით. ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ სულ ირიცხება 4210 სპორტსმენი. ფუნქციონირება დაიწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისმა ჯომარდობის ბაზამ და საცურაო აუზმა. სპორტსმენთა 9 თვის მონაცემების მიხედვით სპორტსმენების მიერ მოპოვებული იქნა 1222 მედალი, მათ შორის: I ადგილი - 460; II ადგილი - 345; III ადგილი -417, სულ: 963 მედალი. გუნდურ სპორტის სახეობებში: I ადგილი - 2, II ადგილი - 3, სულ 5 მედალი. განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 2 იანვარი - ქუთაისის ყინულის მოედანზე საახალწლო ღონისძიება გაიმართა; წარმოდგენა ფიგურული სრიალისა და ყინულის ჰოკეის ჯგუფების აღსაზრდელებმა მოაწყვეს; 6 თებერვალი - ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში აკაკი ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-10 რესპუბლიკური ტურნირი; 5-10 აპრილი - ტურნირი კრივში იმერეთის თასის მოსაპოვებლად. 2009-2012 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის; 8 მარტი- ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკთა (2005-2007 წლებში დაბადებულთა) შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე სპორტსმენმა; 11 მარტი- ქალაქის ღია პირველობა ძალოსნობაში ჭაბუკთა შორის (2010წ და ზემოთ დაბადებულ სპორტსმენთა შორის); 21 მარტი-ქუთაისის აკაკი კაკაურიძის სახელობის

N18 კრივის სკოლის დარბაზში საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრი კრივში 2007-2008 და 2009-2011 წლებში დაბადებულ მოკრივეებს შორის; 20 აპრილი - ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური ტურნირის ფინალური ეტაპი კალათბურთში, ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის; 4 მაისი - ვაჟთა შორის, მინი ფეხბურთში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის იმერეთის რეგიონალური ტურნირი; 23 ივნისს, საერთაშორისო ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით, ქუთაისში სულხან-საბას ქუჩის ტერიტორიაზე მდებარე ოლიმპიურ სკვერში ოლიმპიური გარბენი მოეწყო; 1-ლი ივლისი - ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა რიგით 28-ე ტრადიციული ტურნირი "ქუთაისის ღია პირველობა" კარატეში; 19 ივლისი-ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა სპორტის ოსტატის გიორგი (როლანდ) ლევიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. ტურნირზე საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნაკრებ გუნდებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ჩეხეთისა და სომხეთის წარმომადგენლებმა; 31 ივლისი-ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა რიგით მეორე საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში; 23-29 სექტემბერს სასკოლო სპორტის კვირეული აღინიშნა. ღონისძიებაში ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული. ჩატარდა ამხანაგური შეხვედრები მინი ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მხიარულ სტარტებში.

საკალათბურთო კლუბი ქუთაისი-2010“ დაფინანსდა 919,1 ათასი ლარით (99,4%).

ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015“-ში დასაქმებულია 20 თანამშრომელი, მათ შორის 3 ადმინისტრაცია, 4 მწვრთნელი და 13 სპორტსმენი, რომელთაგან 3 საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია, ხოლო ერთი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების. კლუბმა 2022-2023 წლების ჩემპიონატზე დაიკავა მესამე ადგილი. ამჟამად მიმდინარეობს გუნდის ფორმირება და მომზადება 2023-2024 წლების ჩემპიონატისთვის, რომელიც სტარტს აიღებს ოქტომბერში.

ქალთა ფეხბურთის და ფუტზალის განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში შპს საფეხბურთო კლუბ „ქუთაისის მართვეს“ ქალთა გუნდმა ლიგის მიმდინარე სეზონში ჩაატარა 14 მატჩი და იკავებს მე-7 ადგილს.

რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონს ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები და ივნისის თვეში უმასპინძლა უეფას 21 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებს. ივლისის თვიდან სტადიონზე კალენდარული მატჩების ჩატარება დაიწყო ს.კ. „ტორპედომ“, სულ ჩატარდა 4 მატჩი.

სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სპორტსმენების საზეიმო მიღება; რაგბის ხელშეწყობა; გაიცა ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდია; საქართველოს ჩემპიონის, ევროპისა და მსოფლიო

ჩემპიონატებზე გამარჯვებული (პრიზიორი) სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთა ფულადი დაჯილდოვება; სპორტსმენების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა; ააიპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულ საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის მოღვაწის/მუშაკის წოდების მქონე პირთა ყოველთვიური ფულადი ჯილდოს გაცემა; სპორტის რაინდის სტიპენდია გადაერიცხა თეიმურაზ აფხაზვას; წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების სტიპენდია გაიცა 35 სპორტსმენზე; მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების დაფინანსება; ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტურნირებზე გასამგზავრებლად ფინანსური დახმარება; გაუთვალისწინებელი ღონისძიებებიდან გაფინანსდა სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი „ქუთაისი“; დაფინანსდა ააიპ ქუთაისი ოლიმპიური კომიტეტი; შშმ პირთა ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერა; 10 მარტს გაიმართა გოჩა ქვარიანის სახელობის ტურნირის შშმ პირთა შორის ნარდსა და შაშში; 7-11 ივნისს, მსოფლიო ჩემპიონის აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა კრივში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სპორტსმენები 5 სხვადასხვა ქვეყნიდან; 28-30 ივლისს ჩატარდა ტურნირი ჩოგბურთში „ქუთაისის თასი“.

სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა - რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა ხარებავას ქუჩის №1–ის მიმდებარედ, მინი მოედნისა და მცირე რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის მოწყობა ლადო ასათიანის ქუჩის მე–5 ჩიხში მდებარე სტადიონის („მარაკანა“) რეაბილიტაცია; ლესელიძის ქუჩაზე, ჯომარდობის ხელშეწყობის მიზნით, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა; №17 სპორტული სკოლის, ძიუდოს დარბაზის ორი სართულის რეაბილიტაცია, მინდვრის ჰოკეის მოედნის მშენებლობა; კლდეზე ცოცვის სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ნიჩბოსნობის სკოლის რეაბილიტაცია.

კულტურის განვითარების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 7 675,0 ათასი ლარი შესრულდა 99,6%-ით, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 7644,4 ათას ლარს.

კულტურულ სახელოვნებლო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ქვეპროგრამა. ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებაში შედის 18 ფილიალი. სასწავლო-საგანმანათლებლო მიმართულებით ფუნქციონირებს 9 ფილიალი, ხელოვნების კუთხით 7 ფილიალი, აგრეთვე ბოტანიკური ბაღი და მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი. გაერთიანების ადმინისტრაცია ემსახურება მოსწავლეებს, ქართველ და უცხოელ ვიზიტორებს, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საქალაქო, ეროვნულ და კალენდრით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, გეგმავს და ახორციელებს კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებს. სახელოვნებო-

საგანმანათლებლო ფილიალებში განათლებას იღებს 3879 მოზარდი. გაერთიანების მხარდაჭერით ჩატარდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები როგორიც არის, დავითობის დღისადმი მიძღვნილი, „ორმაისობა“, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, ქალთა დღისადმი მიძღვნილი კვირეული, მუზეუმების საერთაშორისო დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, გაერთიანების ორგანიზებით ჩატარდა საგაზაფხულო მუსიკის კვირეული, საანგარიშო კონცერტები, ბავშვთა სამხატვრო პლენერი, „მუსიკის დღეები 2023“, რომლის ფარგლებში გაიმართა საგუნდო, საფორტეპიანო და სოლო სიმღერის, ასევე საორკესტრო მუსიკის კონცერტები, ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებლების სოლო კონცერტები, მათ მიერ სხვადასხვა კონკურსებში მიღწეული წარმატებები. საერთაშორისო და ეროვნული კონკურსების სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი აღსაზრდელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალაქის წარმოჩენაში. აღსანიშნავია გრანპრის, I, II, III ადგილის ლაურეატები, საპატიო მონაწილეები და სხვადასხვა პრემიის მფლობელები. გალერეამ და მუზეუმებმა მოაწყვეს თემატური გამოფენები სხვადასხვა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემ აქტიურად მიიღო მონაწილეობა საქალაქო და ეროვნულ ტურნირებში, კონკურსებში, ფესტივალებში. სამხატვრო სკოლამ საქალაქო ღონისძიებების ფარგლებში მოაწყო პლენერი. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივი ორგანიზებით, „გოეთეს საერთაშორისო დღეების 2023“ -ის ფარგლებში ,ზ. ფალიაშვილის სახ. #2 სამუსიკო სკოლაში კლასიკური მუსიკის საღამო ჩატარდა. გაიმართა ზ. ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ბლოგების კონკურსი ,,თავისუფალი თემა“. ასევე ტრადიციული საერთაშორისო თეორიული კონფერენცია „თაობათა ცვლა“ კონფერენცია ქუთაისში 2019 წელს დაარსდა და დამსახურებული პედაგოგის ეთერ კაკუშაძის სახელს ატარებს. კონფერენციის მომხსენებლებს მადლობის სიგელები გადაეცათ. განახორციელა პროექტი „ხელოვნება ყველასათვის“, რომლის ფარგლებშიც ქუთაისის საჯარო სკოლებში გაიმართა პრეზენტაციები და საჩვენებელი კონცერტები. პროექტის ფარგლებში, სამიზნე აუდიტორიისთვის მოხდა გაერთიანების ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის, სამუსიკო და ხელოვნების სკოლების საქმიანობის გაცნობა. აკაკი ვასაძის სახელობის ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებელმა ჩაატარა წლის საანგარიშო კონცერტი კულტურის ცენტრში. სასწავლებელმა, თბილისში, „წისქვილი ჯგუფის“ მიერ ორგანიზებულ „ქართული კუთხეების ფესტივალში“ მიიღო მონაწილეობა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩატარდა: ქართული ჟურნალისტიკის დღისადმი მიძღვნილი სიტუაციური წერის კონკურსი „ნორჩი ჟურნალისტი“. კონკურსში მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები; წრეების მიზნობრივი და თემატური კონფერენციები. 2023 წლის იანვრიდან დღემდე ახალგაზრდობის პარკში შეიკირა ხე-მცენარეები, შეკეთდა და შეიღება ძელსკამები, ორჯერ გაითიბა მთლიანი პარკის ტერიტორია. დაიდგა ბანერები.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო დოკუმენტების რაოდენობა 2023 წლის 01 იანვრისათვის შეადგენდა - 1 065 702 წიგნს, ჟურნალ-გაზეთს, ელექტრონულ წიგნს და CD - ხმოვან წიგნს; 2023 წლის 9 თვის შემოვიდა 1447 ცალი წიგნი და ჟურნალი. 2023 წლის სამ კვარტალში ფონდის რაოდენობა შეადგენს 1 066 149 წიგნს, ჟურნალ გაზეთს, ელექტრონულ და CD - ხმოვან წიგნს. მკითხველთა რაოდენობა - 5 862; დამსწრე (მომსვლელთა) რაოდენობა - 33 541; საბიბლიოთეკო დოკუმენტების გაცემის რაოდენობა - 54 789; მ.შ. 50 625 ცალი წიგნი და 4 164 ჟ/გაზეთის კომპლექტი. 2023 წლის სამ კვარტალში ელექტრონულ კატალოგში ატვირთულია 20 220 ეგზემპლარი. 2023 წლის 9 თვეში ციფრულ ფოტომატიანეში აიტვირთა 1313 ფოტო, ბარათი, მოსაწვევი, პოსტერი და ა.შ. P. S. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 2015 წლის ივლისიდან ჩაერთო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჯეოსელის ერთობლივ პროექტში „ციფრული ფოტომატიანე“. პროექტის მიზანია, გააცოცხლოს იმერეთის რეგიონისა და ჩვენი ქალაქის ისტორია, აღმოაჩინოს და შეაგროვოს სხვადასხვა ოჯახში დაცული, საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი ფოტოკოლექციების ციფრული ვერსიები. დაწყებიდან, 2023 წლის 01 ივლისისათვის გაციფრებულია 8929 ცალი ფოტო, ბარათი, მოსაწვევი, პოსტერი და ა.შ. და ატვირთულია ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“. http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/3943. 2023 წლის III კვარტალში გაციფრდა იშვიათ გამოცემათა განყოფილების 90 ცალი წიგნის 28 185 გვერდი. მზა წიგნები განთავსდა 15 DVD დისკებზე. დაწყებიდან, 2016 წლის მაისიდან 2023 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის გაციფრებულია 844 ცალი წიგნის 162964 გვერდი და 485 ცალი გაზეთის 11943 გვერდი. ჯამში 174 907 გვერდი. რესტავრაცია ჩაუტარდა, აიკინძა და ყდაში ჩაისვა: 155 ცალი - წიგნი; გაზეთის 37 კომპლექტი პერიოდიკის განყოფილებიდან, რესტავრირდა პერიოდული გამოცემის 358 ფურცელი.

ა(ა)იპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ მიერ 9 თვეში ათვისებული თანხა შეადგენს 1 016,8 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 4 იანვარი - დავით აღმაშენებლის ცენტრალური მოედანზე გაიმართა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი. 8 თებერვალი - დავით აღმაშენებლის ძეგლის პატივგება სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი. 8 მარტი - თბილისი. ფოლკლორული ფესტივალი. ფოლკლორის ცენტრის ბავშვთ ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“. 16 მარტი - თბილისი. ტელეკომპანია „იმედი“ „ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად„ ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა. 19 მარტი - ქუთაისის ოპერის თეატრი. მე-15 რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი „იპოვე შენი ვარსკვლავი“. ბავშვთა ფოლკლორული გუნდი „იმედი“. ანსამბლმა 2 მაისს, „გვირილობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, სხვადასხვა საკონცერტო წარმოდგენები გამართა. 21 მაისს მონაწილეობა მიიღო გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრში გამართულ

ბავშვთა ქორეოგრაფიულ ფესტივალში. 16 ივნისი - ლ. მესხიშვილის სახელმწიფო პროფესიული თეატრი, გაიმართა ლ. ვაშაკიძის საიუბილეო საღამო. 28 ივლისი - ფოლკლორის ცენტრი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტი - „ქართული შოუ“. 19 აგვისტო - საფრანგეთი. ლევილის მამული. „ლევილის ქართული ფესტივალი“. 22 სექტემბერი - ფოლკლორის ცენტრი, სოროპტიმისტ ინტერნაციონალის კლუბ „ქუთაისიკოლხას“ 10 წლის იუბილე, სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მომღერალთა გუნდი.

კულტურის ღონისძიებების ქვეპროგრამა დაფინანსდა 1 052,9 ათასი ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 8 თებერვალს დავითობის დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქის თვითმმართველობის პირველმა პირებმა პატივი მიაგეს და თაიგულით შეამკეს დავით აღმაშენებლის ძეგლი; 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის სპექტაკლი „ბეატრიჩე“, დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით; 7-დან 14 მარტის ჩათვლით, გალერეა ,,ვარლაში“ გაიმართა საგაზაფხულო გამოფენა ,,იმერეთი - სხვა სილამაზე“; დაფინანსდა და გამოიცა ჟურნალ ,,უქიმერიონის“ N1, 2, 3, 4 და 5 ნომრები, ჟურნალ ,,მწვანეყვავილას“ N1, 2 და 3 ნომრები და ჟურნალ ,,განთიადის“ N1-2 და N3-4 ნომრები; ქვეპუნქტიდან ,,საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში გამარჯვებული მოსწავლეების და მათი პედაგოგების დაჯილდოება“ 500 ლარით დაჯილდოვდა საერთაშორისო კონკურსში საპრიზო ადგილების დაკავებისათვის როგორც მოსწავლეები, ასევე მათი პედაგოგები; გამოიცა რობერტ გოგოლაშვილის სანოტო კრებული; განხორციელდა სატელევიზიო პროექტი ,,ვარლა“. ადგილობრივი ტელერადიოკომპანია ,,რიონის“ ეთერში გაზაფხულზე გადაიცემა 4 გადაცემა ღვაწლმოსილ ქუთაისელ მხატვარზე; ფ/პ ნათელა ჯიმშელეიშვილს გაეწია ფინანსური დახმარება, ქალაქ სტამბოლში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაში ფოტოპროექტის ,,ბოდიფონტი“ წარდგენისათვის; ფ/პ ზაზა კილასონიას გაეწია ფინანსური დახმარება საავტორო კონცერტის მუსიკალური არანჟირებისათვის; ფ/პ მიხეილ თურქაძეს გაეწია ფინანსური დახმარება ესტონეთში ორკაპი გალერიის მიერ ორგანიზებული საზაფხულო რეზიდენციის პროექტში მონაწილეობის მიღების მიზნით; ქუთაისქალაქობის ფარგლებში გაიმართა თანამედროვე ხელოვნების ფოტო-გამოფენა ,,ქარავან არტ-ფორუმი“; 6 ივლისს მესხიშვილის თეატრში გაიმართა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი, რის შემდეგაც ფოლკლორის ცენტრის წინ გაიხსნა ანსამბლის ვარსკვლავი; გამოიცა ავთანდილ ყურაშვილის ხუთტომეული; 1 სექტემბერს ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოდგენილ იქნა ნიკოლოზ წულუკიძის საავტორო პროექტი ,,ქართული თეატრის ამბავი ანუ...“; გახმოვანების აპარატურით მხარი დაეჭირა 30-მდე ღონისზიებას.

ახალგაზრდობის მხარდაჭერისათვის 9 თვეში ბიუჯეტიდან დახარჯულია 190,7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა გაუთვალისწინებელი ღონისძიებები და ლიდერთა სკოლა; გაიმართა ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალი; მიმდინარე წლის მაისი-აგვისტოში განხორციელდა პროექტი „სოციალური პლატფორმა სტარტაპერებისთვის“, პროექტი გულისხმობს სტარტაპერებისათვის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასა და ერთმანეთთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფას; აპრილი-სექტემბერში განხორციელდა პროექტი, „საზაფხულო კინო სკოლა ქუთაისელი ახალგაზრდებისათვის“, საზაფხულო კინოსკოლის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება კინოხელოვნებით. კინოსკოლაში გაერთანებული მოსწავლე-ახალგაზრდების მიერ 25 დღის განმავლობაში გადაღებულ იქნა 10 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ივლისში განხორციელდა პროექტი „სამოქალაქო თავდაცვა და სიმულაციური სწავლება“, პროექტი გულისხმობს შემდეგს, რომ ქალაქ ქუთაისში შეიქმნას ტრადიცია იმიტირებული საბრძოლო სპორტის, როგორიცაა ფეინთბოლი და ეარსოფტი, ასევე მოხდეს ჩემპიონატის ყოველწლიური ორგანიზება, რათა მოხდეს სპორტის ამ სახეობების პოპულარიზაცია რომლებიც ახალგაზრდებს მისცემს გართობის, განთვირთვის და სპორტული აქტივობებით დაკავების მეტ შესაძლებლობას; 9. პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პერსონალური ასისტენტების მომზადება და სერვისის პილოტირება ქუთაისის მუნიციპალიტეტში“ მიმდინარეობს აპრილის თვიდან, პროექტი მიზნად ისახავს ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში პერსონალური ასისტენტის სერვისის პოპულარიზაციას, დაინტერესებული ახალგაზრდების პერსონალური ასისტენტის სერვისის მიმწოდებლებად გადამზადებას და მათთვის პრაქტიკული გამოცდილების მიცემას პროფესიონალი მენტორების მხარდაჭერით; როკ მუსიკის ფესტივალი „Rockაია“ - ქალაქ ქუთაისში მუხნარის ტყე-პარკში ჩატარდა როკ მუსიკის ფესტივალი პოპულარული ქართული მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით, ღონისძიებას დაესწრო 10 000-მდე ადამიანი; 20 სექტემბერს ჩატარდა ახალგაზრდული ფესტივალი, რომელიც გულისხმობდა ყველა იმ კომპონენტის ჩართულობას, რაც ახალგაზრდებს გაუზრდის ინფორმირებულობას განივითაროს დასაქმების/შემეცნების/გართობის შესაძლებლობები ლოკალურ დონეზე და არა მარტო. ფესტივალის ფარგლებში გარდა სხვადასხვა ღონისძიებისა, ჩატარდა კონცერტი მუსიკალური ბენდების მონაწილეობით, მაყურებელთა რიცხვმა დაახლოებით შეადგინა 10 000, ფესტივალში ჩართული იყო 120 ქუთაისელი მოხალისე;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯებმა 9 თვეში შეადგინა 5 437,1 ათასი ლარი. გეგმა 5 479,0 ათასი ლარი, შესრულდა 99,2%-ით.

ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები შეადგენს 1 583,2 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 1 599,0 ათასი ლარით, დაფინანსება განხორციელდა 99,0%-ით.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ქვეპროგრამა დაფინანსდა 254,5 ათასი ლარით (99,0%). გადამდებ დაავადებათა ინფორმაციის რუტინული ანალიზის, შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით ჩატარდა გეგმიური მონიტორინგი 12 სტაციონარში 2-ჯერ, 9 პოლიკლინიკაში 3-ჯერ, 4 სამშობიარო სახლში სამჯერადად. სეზონური გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გრიპის გავრცელების მართვისათვის საჭირო ანტივირუსული პრეპარატი ,,ტამიფლუ“ 9 თვის განმავლობაში გაიცა 463 კაფსულის ოდენობით. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში ქალაქ ქუთაისის მასშტაბით მონაწილეობას ღებულობს 25 სამედიცინო დაწესებულება. აქედან 0-18 წლის ასაკში გეგმიურ ვაქციანციას ატარებს 12 დაწესებულება. აპრილის თვის ბოლოს იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები ბაღის აღსაზრდელების მშობლებთან და სკოლის სამედიცინო პერსონალთან. ხორციელდება ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა კონტაქტების კვლევა. ანტირაბიული ზედამხედველობის ფარგლებში მიმდინარტეობდა ქალაქის 4 ანტირაბიული კაბინეტის მუშაობის ყოველთვიური მონიტორინგი. სისტემატურად მიმდინარეობდა ქალაქ ქუთაისის ვეტ. სამსახურისათვის ინფორმაციის გადაცემა ცხოველებზე მეთვალყურეობის დაწესების თაობაზე. 2023 წლის III კვარტალში ანტირაბიული კაბინეტების მიერ მომსახურება გაეწია 5113 პაციენტს. მონიტორინგი ჩატარდა ქალაქის 37 საბავშვო ბაღში. 9 თვის მანძილზე, შერჩევითი კონტროლის მეთოდით, შემოწმებულია 130 სილამაზის სალონი. კერძოდ, ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას არსებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, შემოწმდა ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დაცვა. მიმდინარეობს მონიტორინგი თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით სასწავლო, სამედიცინო და საჯარო დაწესებულებეში.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები (ისარგებლა 319 ბენეფიციარმა); ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები (ისარგებლა 3 ბავშვმა); ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები (ისარგებლა 27 პირმა); მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (ისარგებლა 84 ბენეფიციარმა); ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები (ისარგებლა 97 ერთეულმა ბენეფიციარმა). დახმარებით ისარგებლა სულ 530 ბენეფიციარმა.

სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა ითვალისწინებს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული, გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურებას, დიაგნოსტიკის და შემდგომი

მკურნალობის ხარჯის (თანადაფინანსების პრინციპით) ანაზღაურებას. დახმარებით ისარგებლა 2497 ბენეფიციარმა.

ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარებით ისარგებლა 55 ბენეფიციარმა.

ფენილკეტონურიით დაავადებულპირთადახმარების ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირების დახმარებას, თვეში 300 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში, დახმარებით ისარგებლა 38 ბენეფიციარმა,

სოციალური პროგრამები დაფინანსდა 3 853,9 ათასი ლარით, გეგმა (3 880,0 ათასი ლარი) შესრულდა 99,3%-ით.

სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ქვეპროგრამით განხორციელდა ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N1 და N3–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტრო ენერგიისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის N40–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიერ დახარჯული ელექტრო ენერგიის თანხა ანაზღაურება ხდება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით ლიმიტის ფარგლებში. დახმარებით ისარგებლა 95 ოჯახმა.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარე პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ისარგებლა მრავალშვილიანმა 657 ოჯახმა. მათ შორის: მეოთხე და მომდევნო ბავშვის შეძენაზე დახმარებით ისარგებლა 17 ოჯახმა. ერთჯერადი მატერიალური დახმარებით ისარგებლა 195 მრავალშვილიანმა ოჯახმა. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მოხმარებული ელ/ენერგიის თანადაფინანსებით მიმდინარე პერიოდში ისარგებლა 162 ოჯახმა.

სარიტუალო დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის ანაზღაურება, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს ქ. ქუთაისში რეგისტრირებული პირების სარიტუალო მომსახურებას, რომლებიც გარდაიცვალნენ „კოვიდ-19“ დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლა 16 ბენეფიციარმა.

სოციალური ღონისძიებების ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ტრადიციულ

დღესასწაულებთან და ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობას. დახმარებით ისარგებლა 4205 ბენეფიციარმა.

სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგის ღირებულების თანადაფინანსება, სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას.ბენეფიციართა იდენტიფიცირება ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. დახმარებით ისარგებლა 2463 ოჯახმა, რომელიც შეადგენს 6890 ბენეფიციარს.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარს, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობაში და სრულწლოვანების გამო შეუწყდა სახელმწიფოს მხრიდან მომსახურება. დახმარება ბენეფიციარზე შეადგენს, თვეში 200 ლარს. ბიოლოგიურ ოჯახში, თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე თვეში გაიცემა 200 ლარის ოდენობით. ჰემოდიალიზზე მყოფ პირს, მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დახმარება შეადგენს თვეში 100 ლარს. დახმარებით ისარგებლა 137 ბენეფიციარმა, მათ შორის 118 ჰემოდიალიზზე მყოფი პირი და რეინტეგრირებული 22 ბავშვი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების დახმარებით სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამებით - „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები. პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება თვეში 60 ლარის ღირებულების, ჰიგიენური საფენების („პამპერსი“) და სველი სალფეთქების შეძენა.დახმარებით ისარგებლა 255 ბენეფიციარმა.

უფასო კვების ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ,,ქ. ქუთაისის მადლიერების სახლში” ფუნქციონირებს უფასო სასადილო, სადაც იკვებება 750 ბენეფიციარი. აქედან 530 ბენეფიციარი სადილობს დუმბაძის 59/61-ში არსებულ სასადილოში, ხოლი 220 ბენეფიციარი ა/მშენებლის ქ. 38-ში მდებარე სასადილოში. მადლიერების სახლში ფუნქციონირებს ბინაზე მიტანის სერვისი, რომელიც ემსახურება გადადგილება შეზღუდულ ბენეფიციარებს. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს HACCP-ის პროგრამის დანერგვაზე.

კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების ქვეპროგრამა ითვალისწინებს, აბსოლიტური სიყრუის მქონე და ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაკეთებული ოპერაციის შემდგომ, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ქ. ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში

ინტეგრაციის ხელშეწყობას. ქვეპროგრამის ფარგლებში კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით, ბენეფიციარს გაეწია დახმარება.ანაზღაურდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება – თვეში 95 ლარის ოდენობით და პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – ექვს თვეში ერთხელ, 150 ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა.

ავთვისებიანი სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა ქვეპროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ლეიკოზით დაავადებულ პირებს, გაეწიათ მატერიალური დახმარება, თითოეულს თვეში 200 ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლა 25 ბენეფიციარმა.

შინმოვლის ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. ქუთაისში რეგისტრირებული 100 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები /შემდგომში - მოსარგებლე/, რომელთათვისაც „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის“ მიხედვით მინიჭებული ქულა /შემდგომში – ბართელის ინდექსი/ არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/ და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე. დახმარებით ისარგებლა 139 ბენეფიციარმა.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ/ მცხოვრებ 2-17 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0 – F84.9). ქვეპროგრამის ფარგლებში, ანაზღაურდება სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (სამი ორგანიზაცია) მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის გაწეული მომსახურება. დახმარებით ისარგებლა 352 ბენეფიციარმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარების და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მოქმედი 0-18 და 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 8 ორგანიზაციისათვის, თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) ანაზღაურება. დახმარებით ისარგებლა 8 ორგანიზაციამ.

მარტოხელა მშობელთა დახმარების ქვეპროგრამის მიზანია, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (რეგისტრირებული) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელქტროენერგიის, წყალის, ბუნებრივი აირის

ღირებულების თანადაფინასება 30 ლარის ოდენობით. ელექტროენერგია -12 ლარი; ბუნებრივი აირი -15 ლარი; წყალი -3 ლარი. დახმარებით ისარგებლა 134 ბენეფიციარმა.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მყოფი პირის/ოჯახის თავშესაფრის დატოვების შემდეგ ფინანსურ დახმარება. დახმარებით ისარგებლა **2** ბენეფიციარმა.

საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის – დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვების სოციალური დახმარებისა და მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, ხდება საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის /„დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება“/ დაფინანსება, რომლის ფარგლებში ფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში მომსახურება: კვება, და ჰიგიენური საშუალებები. ისარგებლა 26 ბენეფიციარმა.

ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების დახმარებ ქვეპროგრამით სარგებლობენ ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი და მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები. დახმარებით ისარგებლა 29 ბენეფიციარმა.

გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების სერვისი მიეწოდებათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და ფაქტიურად მცხოვრებ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთა წევრები საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას. დახმარებით ისარგებლა 180 ბენეფიციარმა, მათ შორის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაეწია მატერიალური დახმარება 105 ბენეფიციარს, ხოლო 75 ბენეფიციარს სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება.

„მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების - ხმოვანი წნევის აპარატები /53 ცალი/; შაქრის საზომი აპარატები /23 ცალი/ - შეძენა. დახმარებით ისარგებლა 73 ბენეფიციარმა.

„გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფა“ - ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები და გოგონები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიკური

ჯანმრთელობის სერვისებში ჩართვას. ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებელს წარმოადგენს ა(ა)იპ „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი“ /GCRT, რომელიც პროექტის „ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებითვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებას. კერძოდ: ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის მომსახურებას, ასევე ფსიქიატრის კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რაც განხორციელდება ქუთაისის მერიის წილობრივი ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც განისაზღვრება 10000 /ათი ათასი/ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 20 ბენეფიციარი. ბენეფიციარების ქვეპროგრამაში ჩართვა: სერვისში რეფერირებას მოახდენს განმახორციელებელი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური, ხოლო ამის შემდგომ GCRT-ის ქუთაისის სარეაბილიტაციო გუნდი იმოქმედებს შესაბამისად. დახმარებით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა.

,,სოციალურად დაუცველი ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშეძენილი შვილიანი ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშეძენილი შვილიანი ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას. დახმარებით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების დამატებითი სწავლება, 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქ. ქუთაისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სკოლადამამთავრებელი მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს.აბიტუტიენტებისთვის მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფენ ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და ავტორიზირებული სასწავლო დაწესებულებები. დახმარებით ისარგებლა 33 ბენეფიციარმა.

ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება. ქვეპროგრამის მიზანია, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე. ქვეპროგრამის განხორციელება მიმართულია ბავშვიანი ოჯახებისათვის გრძელვადიან მხარდაჭერაზე,

რომელიც მოიცავს სამ კომპონენტს. კერძოდ, ქვეპროგრამის მონაწილე ოჯახებთან ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომებით მოხდება სოციალური მუშაკების ჩართულობა, ოჯახის ეკონომიკური და პოზიტიური მშობლობის კუთხით გაძლიერება. დახმარებით ისარგებლა 8 ოჯახმა.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსდა 99%-ით (გეგმა 1 069,0 ათასი ლარი; საკასო ხარჯი 1 064,1 ათასი ლარი).

ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამიდან" მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურების ჩატარების, საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრის და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადებისათვის გახარჯული იქნა 83,7 ათასი ლარი, მომზადდა დასკვნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ. წარმოდგენილ იქნა 36 დასკვნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების ღირებულების დადგენის შესახებ, განსაზღვრული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 17 ქონების საიჯარო ქირა, 44 ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება, 1 დასკვნით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის საპრივატიზებო და 1 ქონების დემონტაჟის ღირებულება. ასევე, მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის დაურეგისტრირებელი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე) საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები ელექტრონული ვერსიიით - 121 ერთეული, შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები - 1 ერთეული, ხაზოვანი ნაგებობის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები - 47 ერთეული. ადგილზე გადამოწმდა კოორდინატები - 86 ერთეული.

ა ა იპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საშობაო ღონისძიება, იმერეთის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ტრადიციას ქუთაისში ქრისტეშობის ღამეს ქალაქის ცენტრალურ უბანში არსებული კაფე რესტორნები ალილოს ყველა წესის დაცვით გულითადი მასპინძლობისა და სიმბოლური საშობაო ბაზრობის სინთეზით უმასპინძლეს ადგილობრივებს და ჩამოსულ სტუმრებს DMO იმერეთის ორგანიზებით ქუთაისში ცენტრალურ მოედანზე ღია ცის ქვეშ გაიმართა ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი ონლაინ პლატფორმები DMO იმერეთი მართავს ონლაინ პლატფორმებს ფეისბუკი გვერდი ქუთაისი ინსტაგრამი საიტი აპლიკაცია ყოველდღიურ რეჟიმში იტვირთება ონლაინ პლატფორმების შესაბამისი მასალები ფოტოები ინფორმაციები ვიდეო რგოლები. სიყვარულის დღესთან დაკავშირებით

იმერეთის ორგანიზებით ბალახვანში ას საფეხურიანი კიბის ტერიტორიაზე მოეწყო საინტერესო და მასშტაბური ფოტო ზონა აიარეთ სიყვარულის ასი საფეხური“ სადაც შეყვარებულ წყვილებს ქალაქის სტუმრებს ნებისმიერ ადამიანს შესაძლებლობა ჰქონდათ გადაეღოთ სამახსოვრო ფოტოები სიყვარულის დღის განწყობის შექმნაზე ასევე იზრუნეს პანტომიმის თეატრის მსახიობებმა ინფო ტურები ბრიტანელი ჟურნალისტი სარა ფრიმენი სტატიის მომზადების მიზნით ორი დღის განმავლობაში სტუმრობდა ქუთაისსა და იმერეთს სტატია ის ბორტის ჟურნალის უახლოესი თვეების ნომერში დაიბეჭდება იმერეთის ორგანიზებით ჩატარდება ღვინის ტურიზმის პრაქტიკული კურსი გიდებისათვის DMO იმერეთმა მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს უდიდეს საერთაშორისო გამოფენაში – საქართველო ის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგა DMO იმერეთმა მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში ის ონლაინ საიტზე და ბეჭდურ პლატფორმაზე სტატია განთავსდა ქუთაისის და იმერეთის შესახებ ასევე დაიბეჭდა ბანერი საერთაშორისო ტურისტული გამოფენები DMO იმერეთმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მადრიდი ესპანეთი ჰელსინკი ფინეთი რიგა ლატვია მილანი იტალია თელავივი ისრაელი ბერლინი გერმანია ასევე DMO იმერეთის მხარდაჭერით იმერული ღვინო წარდგენილ იქნა ნიუ იორკში ღვინის უდიდესი საერთაშორისო გამოფენაზე

DMO იმერეთის და „საირმის ტურიზმის და გასტრონომიის აკადემიის“ თანამშრომლობით შედგა ახალი კულინარიული პროექტი შეფ-მზარეულების გადამზადების ინტენსიური კურსი. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 15 შეფმზარეული იმერეთის რეგიონიდან. 2 მაისის რონიძიებებთად დაკავშირებით DMO იმერეთის დაკვეთით დამზადდა ვიდეორგოლი ქუთაისზე. DMO იმერეთმა ორგანიზება გაუწია ხელნაკეთებისა და ტრადიციული რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-ბაზრობას. გემო ფესტი - საქართველოში ერთ ერთი ყველაზე პოპულარული გასტრონომიული ფესტივალი 2023 წლის 17-18 ივნისს ჩატარდა ქუთაისში. DMO იმერეთი აღნიშნულ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო, როგორც პარტნიორი უწყება და ფინანსური კონტრიბუტორი. DMO იმერეთმა, 30 სექტემბერს, იმერეთის რეგიონი წარადგინა თბილისობის დღესასწაულზე. ღონისძიება ითვალისწინებდა იმერული კუთხის მოწყობას, ფოლკლორულ სიმღერებს და იმერული სამზარეულოს მასტერკლასებს. DMO იმერეთმა ხელშეკრულება გააფორმა დაჯავშნის უმსხვილეს ამერიკულ კომპანისთან Airbnb-თან, ხელშეკრულების თანახმად კომპანია ვალდებულია 2023 წლის განმავლობაში წარმოადგინოს იმერეთის რეგიონთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული სტატისტიკურ მონაცემები.